საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხო ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. წონპარელი
4 „ 15 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 567 შაბათი, სექტემბრის 8 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 150,000

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ-თა სარევ. პარტიის

## ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი

იწვევს ქალაქ ზუგდიდში კვირას, ამა წლის სექტემბრის 9-ს პარტიულ

## სამაზრო კონფერენციას

დღის წესრიგი:

1) საქართველოს და საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის ანგარიში.
3) მოხსენებანი ადგილებიდან.
4) მიმდინარე საკითხები.
5) არჩევნები სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის.

ყოველი ორგანიზაცია გზავნის თითო დელეგატს. მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან 20 წევრზე თითო დელეგატს. დელეგატს ირჩევს ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება.

## დღიური

— იაპონიაში მიწის ძვრა პირველ დღეს განმეორდა 216—ჯერ, მეორე დღეს 57—ჯერ.

— იაპონიაში უბინოთ დარჩა 5 მილიონი მცხოვრებნი.

— შტრეზემანმა განაცხადა, რომ გერმანეთ-საფრანგეთის ეკონომიური კავშირი საშუალება იქნება პოლიტიკურ წინააღმდეგობათა შესანელებლად.

— შტრეზემანის სიტყვა მღელვარებას იწვევს საგარეო პოლიტიკის შეცვლის შიშით.

— ტოკიოს აღსადგენად საჭიროა 30 წელი.

— კორეის რევოლიუციონერები ცდილობენ დაიწყონ ეროვნული რევოლიუცია.

— მუსოლინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ არ სცნობს ,,ერთა ლიგის‘‘ კომპეტენციას.

— იაპონიის მთავრობა გადავიდა ოსაკაში.

— შეერთ. შტ. და მექსიკ. შორის დიპლომატ. ურთიერთ. განახლდა.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ენკენისთვის 1-დან ეღირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 3.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 4.000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 150.000 „ |

## იტალეთის ავანტიურა

არ იქნა და ვერ მოისვენა ევროპამ. ეგრედ წოდებულ ანტანტის არსებობის მთელი აზრი იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროპისათვის შეექმნა მშვიდობიან ცხოვრების პირობები ეკონომიური ქაოსიდან თავის დასახსნელად, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ევროპის კაპიტალისტურ კულტურას პროლეტარიატზე არა ნაკლებ ასამარებს, სულ ერთია თუ ეს სტიქიურად ხდება, თვითონ ბურჟუაზია.

იტალეთს და განსაკუთრებით ფაშიზმის ხელმძღვანელს—მუსოლინს—ძალიან უნდა ევროპიულ როლის თამაში. ცრუკლასიური პათოსი და სწრაფი რაზმებით პარტიულ ორგანიზაციების დარბევა—ჰგონია, რომ კავურას ეროვნულ შარავანდედით შემოსავს თავის შუბლს.

ჩვენ არ ვიცით არც ერთი მომენტი მუსოლინის დიდი ხმაურობის შედეგად კაცობრიობას რაიმე ახალი აზრი, რაიმე ახალი მეტოდი, სისტემა ან საქმე მიეღოს, გარდა ლილიპუტისებური წუწუნისა: —პარლამენტს გავრეკდი, რომ ვიცოდე მის მაგიერ რა მოვიწვიოო.—აი მთელი სისაწყლე მუსოლინის პოლიტიკურ შემოქმედებისა.

შინაურ ცხოვრებაში ასე გაწბილებული მუსოლინს სურს დამოუკიდებული მოქმედება საერთაშორისო ცხოვრების წიაღში. განა დასაშვებია, რომ მუსოლინს მილიტარისტული ცენზურა დაუნიშნოს რომელიმე სახელმწიფომ?! მართლაც, იტალეთის სამხედრო მისიის გაჟლეტა უსაზღვროდ აშფოთებს მუსოლინს, შურის ძიების კოცონს ანთებს საბერძნეთისადმი მთელს იტალეთში და სასწრაფოდ იღებს სამხედრო ზომებს. თითქოს თვით იტალეთს „ხალხთა ლიგა“ იმიტომ არ დაუარსებია, რომ სწორედ ანალოგიური საკითხები მოაგვარონ!

მაგრამ საბერძნეთი ბალკანეთსა და ევროპაში ყველაზე აბუჩად აგდებული სახელმწიფო შეიქმნა ამ ბოლო დროს. იტალია კბილებს აკაწკაწებდა ლოზანას კონფერენციაზე, როცა საბერძნეთის დროშები ოსმალების ხელში გადადიოდა, თუმცა იტალეთმა ძალიან კარგად უწყოდა, რომ საბერძნეთის მთელს პოლიტიკაში უფრო მეტი კერზონის ხელი იყო, ვიდრე ვენეზილოსის. აშკარაა, რომ საბერძნეთის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება იტალეთს შეუძლია, მომენტიც ხელსაყრელია, საბერძნეთი დამარცხებულია, ჯერ კიდევ კონტრიბუცია არ გადაუხდია, ხოლო ინგლისი საფრანგეთ-ბელგიასთან დიპლომატიურ ომშია ჩათრეული.

საბერძნეთის მამულ-დედული კი მეტად უყვარს იტალეთს. ჯერ კიდევ 1912 წელს იტალეთ-ოსმალეთის ომის დროს იტალეთმა საბერძნეთის ზურგზე გაინავარდა და როდოსთან ერთად დოდეკანეზის კუნძულები დაიჭირა. ეს ჩვეულებრივი ზნეობაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების! მაგრამ ოსმალეთის იმპერიაზე გამარჯვებით იტალეთი ოდნავადაც არ გამძღარა და უშიში დადებულ ხელ-შეკრულობით იტალეთი კვლავ სიმშილზე ლაპარაკობდა.

1914 წელში დაწყებულ ომს კი იტალეთი წუწკი მელასავით შესცქეროდა: აბა რომელი მოჭიდავე წამოიჩოქებს ჩემი მუჯლუგუნიც მივთავაზო და გამარჯვებულმა ოქროთი გაჭედილი ნოხ ფარდაგები მიუძღვნა ბედნიერ სამშობლოსო. მაგრამ სენის და ტემზის პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იცოდნენ წუწკი მელიას ღირებულება და თუ მხედველობიდან გამოვტოვებთ საბრალო ავსტრიას, რომლის წინააღმდეგ იტალეთი მეტ აქტიურ აპერაციას აწარმოებდა და საიდანაც მან მიიღო ტრიესტი, ისტრია, იულიუსის ვენეცია და სხ. იტალეთი ძლიერ განაწყენი დარჩა.

იტალეთს დღეს სურს დანაკლისის ანაზღაურება. მას უნდა ბუქარესტის (1913 წ.) და სევრის (1920 წლის) საბერძნეთის მომგებიანი ხელშეკრულებანი ერთი ხელის დაკვრით გააბათილოს და ამ მიზნით იჭერს მეტად მნიშვნელოვან კუნძულს-კორფუს. გაზეთებში იყო აღნუსხული, რომ ევროპის სახელმწიფოებთან ერთად იტალეთის თავხედური ნოტებით და მოქმედებით ამერიკაც ძლიერ უკმაყოფილოაო. ოღონდაც! 1914 წლის შემდეგ საბერძნეთი მთლად ამერიკამ ჩაიგდო ხელში, საგარეო ვაჭრობის 100 პროც.-დან ამერიკასთან საბერძნეთის ვაჭრობა უდრის 27,7 პროც., ხოლო ინგლისთან 24,2 პროც.. რასაკვირველია ასეთ ერთგულს ნოქარს და მუშტარს ამერიკა შეიბრალებს სიტყვიერად მაინც!

ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის აშკარაა: იტალეთის ავანტიურა ევროპის აწეწილ ცხოვრებას კიდევ უფრო რევს და თავის მხრივ აჩქარებს ევროპის საერთაშორისო ქარტეხილებს...

## ებრაელთა საკითხი

საქართველოს ებრაელების საკითხი ისევ დაისვა პრესაში. „კომუნისტში“ ორი წერილი დაიბეჭდა ამის შესახებ. ჩვენ გაზეთშიაც იბეჭდება წერილები და საჭიროც არის რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს ამ განაწამებ ხალხს, საჭიროა გამოკვლევა და შესწავლა ჩვენი ებრაელების ყოფა-ცხოვრების, გაცნობა მათი მისწრაფების, მათი გულისტკივილის.

განსაკუთრებულ ცუდ პირობებში უნდა ჩაცვინულიყვნენ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სწორედ ღარიბი ებრაელები, ვინაიდგან ებრაელი, რაც გინდ ღარიბი იყოს, მაინც ჩარჩად და ვაჭრად ითვლება, ვინაიდან სხვა პროფესია მათ არ გააჩნიათ. ეს გარემოება მათ აყენებს „გერების“ მდგომარეობაში, როგორც არა მშრომელ ელემენტებს. არ ვიცი ადგილობრივ პრაქტიკულად როგორაა ეს საკითხი მოგვარებული: ღებულობენ ღარიბი ებრაელები მონაწილეობას საბჭოთა საქმიანობაში თუ არა.

ეროვნულ უმცირესობათა შორის ებრაელები განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან და ამიტომ მათ შესახებ საჭიროა განსხვავებული ზომები, რომელიც გარდაჰქმნის მათ პარაზიტულ ყოფა-ცხოვრებას და ამ ნიჭიერ და ამტან ხალხს ჩააბამს ახალ ცხოვრების აღმშენებლობაში.

არავინ ისე ჩამორჩენილი არაა საქართველოში კულტურულად, როგორც ებრაელები. მათ [ახასიათებს საშინელი სიბნელე და ფანატიზმი, წარმოუდგენელ არა ჰიგიენურ პირობებში ცხოვრება და მათი ვაჭრობა რომ თითქმის გლახაკობაა...

სრულიად ბუნებრივია, რომ ებრაელებში დაბადებულა ერთგვარი ავტონომიის საკითხი. ყველას ეღირსა ავტონომია, ყველა ერს მიენიჭა უფლება თავისუფლად განავითაროს ეროვნული ენა და კულტურა. კიდევ მეტი: მხოლოდ და მარტო სჯულით განსხვავებულ აჭარლებს აქვთ ავტონომია, და ებრაელებს, რომელნიც გაცილებით მეტად განსხვავდებიან ჩვენგან,—ეროვნულადაც და რელიგიითაც, არ ეთქმის უარი ავტონომიაზედ იმიტომ, რომ მათ შემოფარგლული ტერიტორია არ აქვთ.

სახელმწიფოებრიობასა და ტერიტორიას მოკლებული, გაფანტული ებრაელებისათვის შესაკავშირებელი და ეროვნული მეობის შემანარჩუნებელ ძალად გადაიქცა რელიგია. რელიგიას ებრაელთა ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა ისტორიულად შექმნილ პირობების გამო და ამიტომაც მან (რელიგიამ) სავსებით დაიპყრო და დაიმონა ებრაელობა. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიდგომა ანტირელიგიურ პროპაგანდის წარმოებას მათ შორის. ქართველისათვის და ყოველი ქრისტიანისათვის ეკლესიის დახურვა შეიძლება ვინმემ გამოიყენოს რელიგიისა და სამღვდელოების დევნად. ებრაელების სამლოცველო სახლების დახურვა კი შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ეროვნული ჩაგვრა-შევიწროება, ვინაიდან რელიგიას მათთვის ეროვნული მნიშვნელობა და ხასიათი აქვს. ამიტომ დიდი წინდაუხედაობა და შეცდომა იყო, როცა ებრაელთა სამლოცველო სახლები დაჰკეტეს თითქმის ყველგან საქართველოში. ამით რა თქმა უნდა ეს ფანატიკოსი ხალხი უფრო გაფანატიკოსდება და არც ასეთ წეს-წყობილებას შეურიგდება არას დროს. ვინც იცნობს რელიგიურ მოძრაობათა და დევნათა ისტორიას, ის დამეთანხმება ამაში. მაგრამ საქართველოს ებრაელობა დარწმუნებულია, რომ აქ შეცდომასა აქვს ადგილი და ელის საქმის გამორკვევას და სამლოცველოების გახსნას. რაც მალე მოხდება ეს მით უმჯობესია და დაგვიანება კიდევ მეორე შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ჯერ ებრაელობა უნდა განვათავისუფლოდ რელიგიის ბატონობისაგან და შემდეგ სინაგოგების დახურვას მოვესწრებით. ამისათვის ერთად-ერთი სწორი გზა ჩვენის აზრით არის შემდეგი: რელიგიას და სინაგოვებს უნდა ჩამოერთვას ეროვნულ-კულტურული და სოციალური (ღატაკთა უზრუნველყოფა) ფუნქციები და გადაეცეს სხვა ეროვნულ ავტონომიურ ორგანოს. ამით რელიგია დაჰკარგავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც ეხლა მას აქვს ებრაელის ცხოვრებაში და ის ისევე გაკოტრდება, როგორც გაკოტრდა ქართველი მშრომელი ხალხისათვის.

ო.

## ტელეგრამები

### ზაქროსტას ცნობები 7 სექტემბრიდან

**იტალია-საბერძნეთის კონფლიქტი**

იტალიის კაბინეთმა მოიწონა მუსოლინის განცხადება ერთა ლიგიდან გამოსვლის შესახებ, თუ იგი ჩაერევა კონფლიქტში. იტალია მეტად ნაწყენია ინგლისის მოქმედებით. ამ გაკვეთილს, ამბობს მუსოლინი, კარგად შეიგნებს და დაიხსომებს იტალია.

„დეილი ქრონიკლი“-ს ცნობით ერთა ლიგა დიდ კრიზისს განიცდის. ყველა ერს, რომელიც შედის ლიგაში, ნაბრძანები აქვს შეასრულონ ლიგის დებულების 16 მუხლი, რაიც გამოიწვევს იტალიის სრულს ბოიკოტს.

კორფუზედ მოვიდა ინგლისის კრეისერი. ინგლისის საადმირალოს პირველი ლორდი ემერი გაემგზავრა მალტაში, სადაც იმყოფება ხმელთა შუა ზღვის ინგლისის ფლოტის მთავარი შტაბი.

სამხრეთ-სლავიის პრესსის აზრით ერთა ლიგა ვერ მოაგვარებს იტალია-საბერძნეთის კონფლიქტს და სამხრეთ-სლავია იძულებული იქნება მის გადაწყვეტაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

„დეილი-მეილი“-ს კორრესპოდენტთან საუბარში მუსოლინმა განაცხადა, რომ იგი იძულებული იყო დაეჭირა კორფუ, რადგანაც იცოდა საბერძნეთი უამისოდ არ შეასრულებდა მის მოთხოვნილებებს, ახალი ტერიტორიის დაჭერას, ან რეპრესიების მიღებას იტალია არ ფიქრობს, ხოლო თუ ბერძნები დაეცნენ იტალიელებს, მაშინ იგი დაიწყებს სამხედრო მოქმედებას. მუსოლინი, წინააღმდეგია ერთა ლიგის ჩარევისა იმ საქმეში, რომელიც იტალიის სახელს შეეხება. დიდი ხანია დრო არის-ამბობს იგი შეიგნონ ბალკანეთის მცირე სახელმწიფოებმა, რომ იტალია ძლიერი სახელმწიფოა.

ლონდონის დიპლომატიური წრეები შეფიქრიანებულია ათინიდან მოსულ ცნობით იტალიის მიერ კორფუდან რამდენიმე მილის მანძილზედ ალბანეთის სანაპიროზედ სანტი-კვარატაში ჯარის გადმოსხმის შესახებ. ეს ტერიტორია ალბანეთისაა უდავოდ და მისი დაჭერა სამხრეთ-სლავიის მიერ გაგებული იქნება, როგორც მისკენ მიმართული მტრული ნაბიჯი.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა სდუმს ფიუმეს საკითხის გადაწყვეტის შესახებ, იტალიიდან მიღებულ ცნობებით კი პარიტეტულ კომისიას ფიუმეს საკითხი გადაუწყვეტია იტალიისათვის დამაკმაყოფილებელ სახით. ფიუმეს ერთ წელიწადს განაგებს ერთა ლიგა, ხოლო შემდეგ ამ საკითხს გადასწყვეტს ერთა ლიგა.

**მიწის ძვრა იაპონიაში.**

სან-ფრანცისკოდან (ამერიკა) იცნობებიან, რომ მთელ კალიფორნიის სანაპიროზე შემჩნეულია ზღვის დიდი მოქცევა, რომელსაც, ალბად, კავშირი აქვს იაპონიის მიწის ძვრასთან. ბევრი გემი დაიღუპა.

ტოკიოს პოლიციის გამოანგარიშებით მიწის ძვრისაგან დაღუპულია 500,000 კაცზედ მეტი. იაპონიის მთავრობას დაუდგა რამდენიმე მილიონ უბინაო ხალხის გამოკვების საკითხი.

იაპონიის ნავთსადგურებში მოვიდნენ ამერიკისა, ინგლისისა და სხვათა გემები. ღელვა ზღვაზედ ჯერაც არ დამცხრალა, რის გამოც მიმოსვლა გაძნელებულია.

იაპონიის მთავრობა ოსაკაში გადავიდა.

იაპონიის რადიოს ცნობით მდგომარეობა ტოკიოში უმჯობესდება. წყალსადენი აღდგენილია მთელ ქალაქში, ხოლო ზოგიერთ ნაწილში განათებაც დაიწყო სურსათის მიღებაც ჯერ უახლოეს პუნქტებიდან. იოკაჰამში მოვიდა 6 სამხედრო გემი ბრინჯით, სურსათით, ტანისამოსით და მედიკამენტებით.

უკანასკნელად მიღებულ ცნობებით, პირვანდელი ცნობები სრულიად არ ყოფილა გადამეტებული, ტოკიოს სამი მეოთხედი მოსპობილია, იოკაჰამი მთლადაა მოსპობილი.

ტოკიოში ყველა სახელმწიფო და სავაჭრო დაწესებულებანი დაინგრა. განსაკუთრებით დაზარალდა ქალაქის მდიდარი ნაწილი. ტოკიოში შეგროვილა ათასობით ლტოლვილნი. ევროპიული კვარტალის მცხოვრებნი სულ დაიღუპნენ მათ შორის დიპლომატიური წარმომადგენელნიც ამერიკისა, ჩინეთისა. საფრანგეთისა და იტალიის საელჩოები მთლად მოისპო. რეიტერის სააგენტოს ცნობით ზარალი 1 მილიარდ გირვანქა სტერლინგს უდრის.

ინგლისისა და ამერიკის ელჩები იოკაჰამაში დაიღუპნენ.

მიწის ძვრა პირველ დღეს გამეორდა 216 ჯერ მეორე დღეს 57 ჯერ.

სულ მთლად მოსპობილია 11 ქალაქი.

იაპონიის ახალი პრემიერი გრაფი იამონოტო დაჭრილია.

მარტო ტოკიოს ზარალს სთვლიან 5 მილიარდ მანეთს ოქროთი და მის აღდგენას დაჭირდება 30 წელი.

იაპონიის ვალიუტა ეცემა. ადგილობრივი გაზეთები ფიქრობენ, რომ სამხედრო ძალა დაეცა და მოხდება აღმოსავლეთში მისი ჰეგემონიის ლიკვიდაცია.

იოკაჰამი წარმოადგენს მოსუფთავებულ ადგილს, თითქოს ქალაქი არას დროს არ ყოფილიყოს. ატამი დაინგრა კვირაში, რომელსაც დიდი ხანი აშენებდნენ.

იოკაჰამის გასწვრივ გაჩნდა კუნძული, რომელსაც აქვს 30 ვერსი სიგრძით და 15—სიგანით.

საფრანგეთის ვიცე-კონსული გვამი ამოიღო წყლიდან ამერიკის ტრანსპორტმა.

იაპონიის გაზეთ „მაინიტის“ აზრით იაპონიის განვითარება შეფერხდა ერთი თაობით; რადგანაც არავითარი ფინანსიური ფონდები მას აღარ დარჩა.

კორეის რევოლიუციონერები ტოკიოსა, იოკაჰამსა და ნაჩიკში ცდილობენ მცხოვრებთა თავზარდაცემა გამოიყენონ ეროვნულ რევოლიუციის დასაწყებად.

უკანასკნელი ცნობებით ტოკიოში დაიწვა 10.000 კაცი.

ტოკიოში იაპონიისა და კორეის ჯარებს შორის ხდება შეტაკებანი. კორეელებმა ნაწილობრივად ჩაიგდეს ხელში სანაპირო ადგილები.

მიწის ძვრა ვრცელდებოდა მიდამოზედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 300 კილომეტრზედ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 450 კილომეტრზედ, 9 მილიონი მცხოვრებით.

იოკაჰამში დაუნგრეველი დარჩა მარტო 2 სახლი.

უბინაოთ დარჩა 5 მილიონი მცხოვრები.

ტოკიოში დაიღუპა იტალიის ელჩი.

ტოკიოში სახელმწიფო ბანკის განძეულობა და ოქრო გადაარჩინეს.

იაპონიის სააგენტოს „გოხოს“ ცნობით კორეელების მიერ გამოწვეული მღელვარება ჩააქრეს. გამოცხადებულია სამხედრო წესები.

იაპონიის ზღვებში იმყოფება რუსეთის 3 გემი. ორი მათგანის ბედი გამოურკვეველია.

### საოკუპაციო საკითხი.

**ბერლინი.** ოკუპანტებმა სრულიად უსაბაბოთ დაჭერილ ოლქებს გამოუცხადეს საფოსტო ბლოკადა.

**ბერლინი.** დაჭერილ ოლქების მინისტრმა განუცხადა „ნიუ იორკ გერალდ“-ის კორესპონდენტს, რომ, თუ სურსათის მოწოდება დაკავებულ ოლქებში ძველებურად გაძნელებული იქნება, გერმანია იძულებული იქნებოდა მიმართოს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, და განსაკუთრებით ამერიკას, თხოვნით აღმოუჩინონ დახმარება რურის დამშეულ მცხოვრებთ.

**ბერლინი.** რეინის საკავშირო კომისიამ გამოაცხადა, რომ ყველა უმუშევარი გერმანელი დაჭერილ ოლქში ინიშნება სამუშაოზედ უშუალოდ რეინის კომისიის მიერ. გერმანიის მთავრობამ კატეგორიული პროტესტი განაცხადა გერმანიის სუვერენიტეტის დარღვევის გამო.

**ბერლინი.** შტუტგარტში წარმოთქმულ სიტყვაში შტერეზემანმა განაცხადა, საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური კავშირი საუკეთესო საშუალება იქნება პოლიტიკურ წინააღმდეგობათ შესანელებლად. გერმანია სარეპარაციო გადასახადების გარანტიად ადგენს რკინის გზებს და სხვა მეურნეობას, რაც უფრო ხელსაყრელია, ვიდრე რურის მაღაროების გადაცემა. შტრეზემანი იმეორებს თავის წინამორბედის წინადადებას განსაკუთრებულ რეინის ხელშეკრულების დადების შესახებ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის, რათა საფრანგეთი უზრუნველყოფილ იქმნეს „რევანშის იდეისაგან“. რურის ოლქში მუშაობას გერმანია დაიწყებს როგორც კი დარწმუნდება, რომ კონფლიქტის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება საფრანგეთისათვის გარანტიად მეურნეობის წარდგენით.

შეეხო რა შინაურ პოლიტიკას, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა ქონებაზედ და შრომაზედ გადასახადის შემოღების საჭიროებას და მოითხოვა ზედმეტი სამუშაოს შემოღება უპირველესად სამთო-მადნო მრეწველობაში.

**ბერლინი.** შტრეზემანის სიტყვას ზოგიერთი გაზეთები დიდი თანაგრძნობით ხვდებიან და სახავენ მას დიდი სახელმწიფო მოღვაწის დეკლარაციად.

„ფორვერტსი“ პირიქით ცივად ხვდება და ამბობს, რომ ეს მხოლოდ საზოგადოებრივ აზრის მოამზადება მომავალ მუშაობისათვის.

მემარჯვენე პრესა უარყოფითად უყურებს შტრეზემანის სიტყვას და აღნიშნავს შტრეზემანის განზრახვათა და მათი შესრულების შესაძლებლობის შეუფერებლობას.

„დეირე ცეიტუნგი“ ამ სიტყვას სთვლის ფრანგო-ფილების წინაშე კაპიტულიაციად.

შტრეზემანის სიტყვა მღელვარებას იწვევს მთავრობის საგარეო პოლიტიკის შეცვლის შიშით, რის გამოც ნაციონალისტებმა და გარეშე საქმეთა კომისიის წევრებმა რეიხსტაგში წინადადება შეიტანეს სასწრაფო სხდომის მოწვევის შესახებ, შტრეზემანის სიტყვის განსახილველად.

**ბერლინი.** შტრეზემანის სიტყვის საპასუხოდ საფრანგეთი და ბელგია აძლიერებენ რეპრესიებს. რეინის კომისიას მიეცა გერმანიის ადმინისტრაციის ხელში მყოფ დოკუმენტებისა და მასალის კონტროლის უფლება. განთავისუფლებულ ადგილებზედ ინიშნებიან ფრანგები და ბელგიელები. აღკრძალეს ერთი კვირით საფოსტო მიმოსვლა და კონფისკაციას უშვრებიან ფულს.

**პარიზი.** ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ შტრეზემანის სიტყვა იწყებს მოლაპარაკების ახალ ხანას. „ჰუმანიტე“ აცხადებს, რომ შტრეზემანის სიტყვა გერმანიას მსხვერპლად სწირავს კაპიტალისტებს.

### უცხოეთი.

**ნიუ-იორკი.** 3 სექტემბერს განახლდა დიპლომატიური ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და მექსიკას შორის.

**როსტოვი დონზე.** დაღესტანში მდინარეები თერგი, სულაკი და სამური გადმოვიდნენ ნაპირებზეო და წყალმა დაფარა ათას დესეტინამდე ადგილი.

**სტოკჰოლმი.** გაზეთი „სოციალ დემოკრატენი“ აღნიშნავს დიდ გარდატეხას დასავლეთში რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთის ბაზრის მიმართ ინტერესი იზრდება. გაზეთს მოყავს ინგლისის მწარმოებელ მარშალის განცხადება, რომელმაც სთქვა, ჯერ ადრეა რუსეთისაგან რისამე მიღებაზედ ლაპარაკი; საჭიროა ჯერ მუშაობა, რათა რუსეთს შეეძლო რისამე გადახდაო.

**პეკინი.** გაზეთი „ჩენპეო“ სწერს; „კაცობრიობის ხსნა არის რუსეთისა და ჩინეთის საერთო მისია. ეს ორივე ხალხი, დაჩაგრულნი იაპონიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა და ამერიკის მიერ, უეჭველად უნდა შეთანხმდნენ“.

შემდეგ გაზეთი ეხება კარახანის ჩასვლას პეკინში და ამბობს, რომ ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე იყო დიპლომატიური წარმომადგენელის ჩასვლა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. იმედოვნებს, რომ კარახანი მიაღწევს შეთანხმებას არა მარტო რუსეთსა და ჩინეთს შორის, არამედ რუსეთ ჩინეთის საქმეებში დაინტერესებულ სხვა სახელმწიფოებთანაც.

**ვენა.** საერთაშორისო წითელ ჯვარს ატყობინებენ, რომ რუსის ლტოლვილნი ბოლგარეთში დიდ გაჭირვებას განიცდიან. მთავრობა სდევნის და აგზავნის იძულებით სამუშაოზედ. ლტოლვილნი თხოულობენ სამშობლოში დაბრუნებას.

### მუშათა მოძრაობა.

**ლონდონი.** პლიმუტში გახსნილ პროფკავშირთა ყრილობაზედ თავმჯდომარემ ილაპარაკა პროფესიონალურ მოძრაობის პარლამენტისათვის დამორჩილების წინააღმდეგ.

**რეველი.** მთავრობამ დახურა ერთად ერთი მუშათა გაზეთი „მშრომელთა ხმა“. მის მაგიერ გამოვიდა „შრომის დროშა“.

**ქრისტიანია.** ბერგენში შესდგა დემონსტრაცია და მიტინგი ფინლიანდიაში გამეფებულ თეთრი ტერორისა და ფაშიზმის საპროტესტოდ. მონაწილეობას იღებდა 3000 კაცი.

**კოპენჰაგენი.** დანიის სოციალ-დემოკრატების ყრილობაზედ სნორინგმა განაცხადა, რომ პარტია თანახმაა შესდგეს სოციალ-დემოკრატების კაბინეთი. ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია ითვალისწინებს სოციალურ რეფორმებს.

**ბერლინი.** გეტინგენში შესდგა გერმანიის კომპარტიის ფარული კრება, რომელიც აკრძალული იყო ვიურტემბერგში. ერთხმად მიღებულია პარტიის საოლქო პრეზიდიუმის რეზოლიუცია.

---

# ახალი ამბები

— ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამშენებლო კომიტეტი ა. წ. 9 სექტემბერს ზემო-ავჭალაში სამუშაოთა დაწყებიდან ერთი წლის შესრულების გამო აწყობს დღესასწაულს. ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს შეუძლიათ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება. ზეიმი დაიწყება დილის 11 საათზე სამუშაოთა ადგილზე.

— **სენაკის აღმასკომის ხარჯთაღრიცხვა.** ს... საქ. ცენტრ. აღმ კომ. პრეზიდიუმმა, ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს გადასცა სენაკის სამაზრო აღმასკომის ხარჯთაღრიცხვა განსახილველად და დასამტკიცებლად.

— **შრომის ბაზრის მოწესრიგება.** შრომის კომისარიატის დადგენილებით შრომის ბაზრის მოწესრიგების მიზნით განზრახულია საქ. პროფ. საბჭოსთან ერთად გატარდეს მუშა-მოსამსახურეთა თავისუფალი დაქირავების საწინააღმდეგო კვირეული.

— **დასავლეთ საქართველოს საქალაქო სამართველო.** სრ. საქ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის პროფკავშირების დადგენილებით დასავლ... საქართველოს საოლქო სამართველოს წევრებ... დაინიშნენ: ამხ. ს. ჰავჰავაძე, ევ. გიგაური, ... ხარაძე, დ. დგებუაძე, ი. მასხულია, ა. ნავაიძე, ... დოხნაძე, შ. ლომთათიძე, ს. როდონაია, ა. ფალ... ნი, თ. ბოცვაძე და იაშვილი.

— **ქალაქის აბანოების ახალი ნიხრი.** 1 ... კენისთვიდგან ქალაქის აბანოებზე დაწესებული ... ნა ახალი ნიხრი. თვითეულ ცალკე ნომერი 2,000,0... მან. საერთო 500,000 მან.

— **შავი ქვის მრეწველთა ყრილობა.** 15 ... კენისთვეს ქ. ჭიათურაში მოწვეულია შავი ქ... მრეწველთა მე 25 ყრილობა, რომელსაც განსახ... ველი და გადასაწყვეტი აქვს მრავალი საგულის... საკითხები, სხვათა შორის განხილული იქნება ... ღაროების ხეობაში რკინის გზის ახალი შტო... გაყვანა.

— **საბურთალოს ახალი არხების შესახ...** ვინაიდგან ხსენებულ არხს აოხრებენ მწყემს... რომელთაც დაუდით აუარებელი საქონელი, ქ... აღმასკომმა წინადადება მისცა მილიციის უფრ... აჯარიმოს მოთარეშე მწყემსები შემდეგ რაოდ... ბით: კამეჩებზე 1 მან, მსხვილფეხი—50 კ. და წვრ...

---

# საქართველოს მთავარ ქალაქთა მოსახლეობა 1922 წ. საქალაქო აღწერით.

(გაგრძელება)

**(სტატისტიკის ცენტრალი სამართველოს მასალებიდან)**

საინტერესოა ვიცოდეთ რანაირი იყო სურათი წარსულში, რა ცვლილებებს ჰქონდა ადგილი სქესთა დამოკიდებულებაში და რანაირი ტენდენცია ემჩნევა ამ მხრივ ამ ქალაქებს.

პროცენტული მიმართება სქესთი შორის ასეთი იყო:

| | 1897 წ. | | 1917 წ. | | 1922 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მამაკ. | დედ. | მამაკ. | დედ. | მამაკ. | დედ. |
| ბათომში | 71.7 | 28,3 | 54,2 | 45,8 | 53,6 | 46,4 |
| ქუთაისში | 59,9 | 40,1 | 48,5 | 51,5 | 48,2 | 51,8 |
| სოხუმში | 69,8 | 30,2 | 52,0 | 48,0 | 50,6 | 49,4 |
| ფოთში | 66,3 | 33,7 | 48,9 | 51,1 | 49,7 | 50,3 |

ეს ცხრილი უკვე მეტად საინტერესო სურათს შლის ჩვენს თვალწინ. პირველი პერიოდის დასაწყისში (1897 წ.) მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ. შემდეგ იწყობა მწყობრი და შეურყეველი პროცესი სქესთა რიცხობრივი გათანასწორებისა. მეორე პერიოდის დასაწყისში ამ პროცესის დენა უკვე სავსებით ნათლად არის გამოსული, ხოლო ქუთაისსა და ფოთში კიდეც მომხდარა უკვე გარდატეხა, და გადალახულია წონასწორობის ხაზი მდედრობითი სქესის სასარგებლოდ. ამის შემდეგაც ამავე ტემპით განაგრძობს სვლას აღნიშნული პროცესი ყველგან თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფოთის უკანასკნელი წლის პროცენტის ოდნავ შეტრიალებას.

მაგრამ ეს გარემოება მაინც არ სცვლის საერთო მიმდინარეობის გეზს და სრულიადაც არ ვფიქრობთ, რომ ეს იყოს, თუნდაც მხოლოდ ფოთისთვის, საწინააღმდეგო პროცესის (უკან შებრუნების) დასაწყისი, როგორც ცნობილია, ევროპის სახელმწიფოებში და საერთოდ თანამედროვე სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში მდედრობითი სქესი უმრავლესობას წარმოადგენს მოსახლეობაში; ხოლო იმ ქალაქებში, სადაც, პირიქით, მამრობითი სქესი სჭარბობს, მაგრამ ეს ქალაქები უკვე დგანან თანამედროვე სავაჭრო სამრეწველო ქალაქის განვითარების გზაზე და შექმნილია სოციალური ცხოვრების ნორმალური პირობები იქ ყველგან შემჩნეულია სქესთა რიცხობრივი გათანაბრების პროცესის შეურყეველი მსვლელობა.

ასევეა ჩვენს ქალაქებშიაც. ეს მოვლენა აღნიშნული იყო ტფილისშიაც (იხ. „კომუნისტი“ № 146). რა მიზეზია რომ ბათომსა და სოხუმში სქესთა გათანასწორების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა და იქ უმრავლესობას ისევ მამაკაცები შეადგენენ. ამ საკითხზე გარკვეულ პასუხს ჩვენი აღწერის შემდეგი დამუშავება მოგვცემს, მაგრამ ერთი რამ ეხლაც შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი მიზეზი მდედრობითი სქესის ნაკლებობისა ბათომში არის (სოხუმში სხვათა შორის) დიდი რიცხვი მოსული მოსახლეობისა და სოციალური მცხოვრების მოუწყობლობა,—არა ხელსაყრელი პირობები ოჯახური ცხოვრებისა, ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის.

თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ ზემოაღნიშნული პროცესი აქ უფრო მეტი სიძლიერით ვითარდება.

ამას უფრო ნათლად დავინახავთ თუ მოვიყვანთ სქესთა ზრდის ინტენსიობას აღებული პერიოდის (25 წლის) განმავლობაში.

1897 წლიდან 1922 წლამდე მოუმატნიათ ამდენი პროცენტით:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომში — | მამაკაცებს | 59,3 | დედაკაცებს— | 250,1 |
| ქუთაისში — | „ | 12,2 | „ | 80,2 |
| სოხუმში — | „ | 57,9 | „ | 256,5 |
| ფოთში — | „ | 15,9 | „ | 130,7 |

ხოლო მიმართებითი რიცხვები ასეთია:

1000 მამაკაცზედ მოდის დედაკაცი:

| | 1897 წ. | 1917 წ. | 1922 წ. |
|---|---|---|---|
| ბათომში | 395 | 845 | 867 |
| ქუთაისში | 669 | 1064 | 1073 |
| სოხუმში | 433 | 922 | 978 |
| ფოთში | 508 | 1045 | 1012 |

მეორე მთავარი საკითხი დემოგრაფიისა—ეს არი **მოსახლეობის შედგენილობა წლოვანების მიხედვით**, რაიც თავის თავად იძლევა უკვე მშრალ, მაგრამ დამახასიათებელ სურათს საზოგადოების სტრუქტურისას ქალაქის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრების ხასიათისას, მისი სიცოცხლის გამძლეობის უნარიანობას და მომავლის პერსპექტივების სახეს.

მოსახლეობის შენება წლოვანების მიხედვით ასეთია:

| | ბათომი | | ქუთაისი | | სოხუმი | | ფოთი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლოვანება | აბსოლ. რიც. | პროც. | აბსოლ. რიც. | პროც. | აბსოლ. რიც. | პროც. | აბსოლ. რიც. | პროც. |
| 0—4 | 5461 | 9,0 | 4426 | 9,8 | 1700 | 9,8 | 1180 | 10,4 |
| 5—9 | 5278 | 8,7 | 5053 | 11,2 | 1632 | 9,4 | 1167 | 10,4 |
| 10—14 | 6413 | 10,5 | 6134 | 13,6 | 2007 | 11,5 | 1502 | 13,2 |
| 15—19 | 6338 | 10,4 | 5856 | 12,9 | 1768 | 10,2 | 1334 | 11,8 |
| 20—24 | 6179 | 10,2 | 3580 | 7,9 | 1700 | 9,8 | 867 | 7,5 |
| 25—29 | 7248 | 11,9 | 3694 | 8,2 | 1894 | 10,9 | 976 | 8,5 |
| 30—34 | 5610 | 9,2 | 3022 | 6,7 | 1561 | 9,0 | 855 | 7,5 |
| 35—39 | 5125 | 8,4 | 2899 | 6,4 | 1331 | 7,6 | 845 | 7,4 |
| 40—44 | 3542 | 5,8 | 2242 | 5,0 | 997 | 5,7 | 655 | 5,8 |
| 45—49 | 2779 | 4,6 | 1600 | 3,5 | 811 | 4,7 | 471 | 4,2 |
| 50—54 | 2467 | 4,1 | 1869 | 4,1 | 640 | 3,7 | 461 | 4,1 |
| 55—59 | 1597 | 2,6 | 1350 | 3,0 | 507 | 2,9 | 325 | 2,9 |
| 60—69 | 1867 | 3,1 | 1922 | 4,2 | 563 | 3,2 | 433 | 3,9 |
| 70—79 | 631 | 1,1 | 996 | 2,2 | 197 | 1,1 | 164 | 1,4 |
| 80 და მეტი | 218 | 0,4 | 590 | 1,3 | 74 | 0,5 | 107 | 1,0 |
| გამოურკვ. | — | — | 57 | — | 34 | — | 13 | — |
| ს უ ლ | 60.810 | 100,0 | 45,290 | 100,0 | 17,426 | 100,0 | 11,358 | 100,0 |

როგორც ვხედავთ ეს ცხრილი საერთოდ იძლევა ნორმალური აგებულების სურათს: წლოვანების ბრუდე თითქმის არ აკეთებს ხვეულებს: იგი სწორი ხაზით არის აზიდული ფუძედან და თითქმის ამავე სწორი ხაზით ეშვება ძირს. ასეთია საერთო სურათი ამ ქალაქებისათვის. მაგრამ თუ ახლოდან დავაკვირდებით ცხრილს, დავინახავთ, რომ ბათომი და სოხუმი (უმთავრესად ბათომი) აქაც თავისებურ სახეს აჩენენ. მეორე მხარეზე კი სდგანან ისევ წყვილად—ქუთაისი და ფოთი.

განსხვავება ამ ორ წყვილს ქალაქებს შორის იმაში არის, რომ ბათომსა და სოხუმში უმცროსი და უფროსი ჰასაკის ჯგუფები შედარებით უფრო ნაკლებად არის წარმოდგენილი და სჭარბობს უფრო მომწიფებულ და დასრულებული ჰასაკის ... ფი (15—29): ორ დანარჩენ ქალაქში-კი პირი... სუსტად არის წარმოდგენილი შუა წელი, ხ... სჭარბობს პირველი ჯგუფები წლოვანებისა, და ... როსი ჰასაკის ჯგუფები უფრო გამძლეა აქ, ვი... ბათომსა და სოხუმში.

სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ამ ქა... ქების ურთიერთ შედარების დროს უფრო მ... სიცხადისათვის, საკმარისია ბათომის და ქუთაი... დაპირდაპირება, რადგან მათშია რელიეფიურ... გამოხატული განმასხვავებელი ნიშნები ამ ორ ჯ... ფისა; რაც შეეხება სოხუმს და ფოთს, იგინი ... ჯერ ოდნავი გადახრით მისდევენ ერთი ერ... მეორე მეორეს.

საინტერესო იყო წარსულის სურათის აღდ... ნა: როგორი იყო მოსახლეობის აგებულობა წლ... ვანების მიხედვით და რა ცვლილებები განიც... მან ამ მხრივ. სამწუხაროდ უახლოესი აღწერა (1917 წ.) ამის საშვალებას არ გვაძლევს; შედარება შე... ლება მხოლოდ 1897 წელთან, თუმცა ეს აღწ... დიდი მანძილით არის დაშორებული ჩვენგან. ადგი... ლის ეკონომიისთვის აქ მოვიყვანთ მხოლოდ პრო... ცენტულ შეფარდებას წლოვანების ჯგუფებ შორის... როგორიც არსებობდა 1897 წელს და ისიც არა ხუთეულ, არამედ წლოვანების ათ წლიან ჯგუფ...

| წლოვანება. | ბათომი | ქუთაისი | სოხუმი | |
|---|---|---|---|---|
| 2—9 | 11.4 | 20.3 | 13.1 | 15.6 |
| 10—19 | 27.6 | 26.4 | 20.2 | 22.3 |
| 20—29 | 34 2 | 24.4 | 33.0 | 20.8 |
| 30—39 | 19.5 | 12.1 | 17.0 | 17.9 |
| 40—49 | 10.1 | 7 4 | 9.6 | 9.8 |
| 50—59 | 4.6 | 4.8 | 4.8 | 4.6 |
| 60—69 | 1.8 | 3.1 | 1.7 | 2.3 |
| 70—79 | 0.6 | 1.0 | 0.5 | 0.7 |
| 80 და მეტი | 0.2 | 0.5 | 0.1 | 0.3 |
| ს უ ლ . . . | 100 | 100 | 100 | 100 |

დაწვრილებით ანალიზს ამ ცხრილისას აქ არ შეუდგებით, მაგრამ ერთი თვალის გადავლებით ამ შედარებიდან თავს იჩენს ერთი გარემოება, რომელიც არ შეიძლება არ აღინიშნოს: ამ 25 წლის წინ სურათი მოსახლეობის აგებულებისა წლოვანების მიხედვით ყველა აღებულ ქალაქებში ძალიან განსხვავდება ახლანდელ მდგომარეობიდან და ეს განსხვავება უარყოფითი ხასიათისაა წარსულისთვის. წლოვანების ჯგუფთა განრიგება 1897 უფრო არა ნორმალურია. იქ ზედმეტად სჭარბობს 20—39 წლიანი ჯგუფები, მაშინ როდესაც მეტად მცირედ არის წარმოდგენილი ერთის მხრივ უმცროსი და მეორე მხრივ უფროსი ჰასაკის ჯგუფები, რაიც ალბად უნდა მიეწეროს ამ ქალაქთა მაშინდელ სოციალური ცხოვრების ამა ნორმალურ პირობებს. ჩვენი უკანასკნელი აღწერა და წლოვანების ჯგუფთა მწყობრი განრიგება უკვე ნათლად გვიჩვენებს, რომ აქ ქალაქებს 1897 წლიდან დაწყობილი დიდი ნაბიჯი გადაუდგავთ წინ, ქალაქის სოციალური ცხოვრების პირობები ბევრად უკეთ მოწყობილა და შექმნილა მათში ერთგვარი პირობები თანამედროვე ქალაქის ნორმალური ცხოვრებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეიზაჟი

2.

გადაირბენს ეჭვები ტიტანიურ მწვერვალებს...
წინ თუ იმედებია,—უკან გლოვის გორები.
ესდენ სარკოფაგები, რომ აქამდის ელვარებს,—
ნეტავ სანამ ვიწვალებთ ასე განმეორებით...

—

ალარაფრად არა ღირს როცა მილიარდები,
ისევ კაპეიკებზე შაირები, გინება...
ჩვენ ვთამაშობთ მარადის, როგორც ბილიარდებზე
და ნარდებში სულ ვიგებთ, თუ კი ზარმა ინება.

—

შეხვედრები უგულო და სალამი გვიანი.
უძლურების ბრალია, რომ ტირიან ბავშები.
ზიზლი ტირან მსოფლიოს, რომ არ არის ჭკვიანი.
მუდამ შეგეჯიბრებით საოცარი რაშებით!

—

ნეტავ სულაც არ იყოს მოგონება ცბიერი.—
ოდნავ კარი შევაღე—ზიზლით გამომისტუმრა...
„ლალიძესთან“ კბილს იწმენდს დადიანი მშიერი..
(შეარყია ეფირი ალმა კომუნისტურმა).

—

ცეცხლი რომ არ გვათბობდეს, მოვკვდებოდით ავდრებით.
საუკუნე განცვიფრდა ზეცის გალავანდებით.
და თუ სახრჩობელებზე თქვენ წამებას ასცდებით,
მე თქვენ დღესასწაულზე გელით სისხლის ვარდებით.

—

მე რომ ავათ არ ვიყო ალსარების უბეში,
მუდამ ჯვარის წვერაზე ვიქნებოდი მაყარი.
და თუ გულკეთილობით მე მოგეცი ნუგეში,
შენც აკაკის ცრემლები ვარდად გადამაყარე.

ბ. პატარაია.

# განცხადება

საქ. მემარცხ. სოც.-ფედერ. სარევოლიუციო პარტიის **ბათომის საოლქო კომიტეტი** აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 15 ივლისამდე გაცემული ყველა მანდატები ითვლება **გაუქმებულათ.**

ამხანაგებს ვსთხოვთ გამოცხადდენ ახალი მანდატების მისაღებათ კომიტეტის ბინაზე, მიხეილის ქუჩა № 40, საღამოს 5—6 ს-დე **ამა წლის 10 სექტემბრამდე.** ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება ორგანიზაციის წევრობიდან.

5—4

კომიტეტის მდივანი: **ერ. ხუპატაშვილი.**

—

მე-4 რაიკომი სთხოვს მსურველთ ჩაეწერონ მომღერალთა გუნდში ამხ. ნიკ. საყვარელიძესთან, რომელსაც მიენდო გუნდის შედგენა და ხელმძღვანელობა.

მე-4 რაიკომის პასუხ. მგებელი მდივანი
აკ. სირაძე.

# ჰაეროპლანი „თვითმშრომელი“ ფილიპე მახარაძის სახელობის.

საჰაერო ფლოტის კვირის ჩამტარებელ ცენტრალურ კომიტეტის მოწოდებამ სათანადო გამოძახილი ჰპოვა თვითმშრომელ საზოგადოებაში.

ჯერ კიდევ საჰაერო ფლოტის კვირის გათავების შემდეგ თვითმშრომელთა საზოგადოების კომიტეტი შეუდგა სათანადო მუშაობას მაგრამ არა შემოწირულების და თავისი წვლილის შეტანის სახით—არა მათ მოინდომეს თავისი ჰაეროპლანის აგება: „დეე საბჭოთა წითელ მეომარ მფრინავთა გუნდთა შორის ჰაერის ტალღებში ითარეშოს საქართველოს ხელოსანთა გულადმა და დაუნდობელმა წითელმა არწივმაცო“.

აი ლოზუნგი რომელიც გადასროლილ იქმნა საზოგადოების წევრებ ხელოსანთა შორის.

ლოზუნგ-მოწოდებამ სათანადო გამოძახილი ჰპოვა.

19 აგვისტოს მრავალრიცხოვანმა კრებამ, რომელსაც რამოდენიმე ათასი კაცი დაესწრო და დაადგინა: ააგონ თავიანთი ჰაეროპლანი. ზოგიერთ გარეშე ამხანაგებს გაეცინათ „აბა როგორ ააგებენ ისინი ჰაეროპლანსო“, მაგრამ საქმემ სულ სხვა დაგვანახვა, შესდგა ცენტრალური კომისია ამხ. შავიშვილის ხელმძღვანელობით.

ერთი კვირაა რაც მუშაობა დაიწყო შემოწირულება გროვდება.

ერთი კვირის განმავლობაში შემოვიდა ერთი მილიარდ რვაას ოცდა ცხრამეტი მილიონი (1.839,000,000) მანეთი, ერთი დოლარი, 1 ჩერვონეცი, 1 აზიური ახალი უნაგირი ღირებული ას ორმოცდა ათ მილიონ (150.000.000) მანეთად, (შემოსწირა დ. სარქისოვმა), 20 ცალი სხვა და სხვა ფერის ტყავები ღირებული 200,000,000 მან. და ორი წყვილი ახალი ფეხსაცმელები.

სულ კი ორ მილიარდ ორას სამოცდათხუთმეტი მილიონი მანეთი (2.275.000.000).

გაცხოველებული მუშაობა მიდის.

გაუმარჯოს „თვითმშრომელს“ ფილიპე მახარაძის სახელობისას.

**გარში.**

ფეხა საქონელზე—20 კ. ოქროთი. დღიდგან საქონლის დატყვევებისა თუ მეპატრონე არ გადაიხდის ჯარიმას, ათი დღის განმავლობაში დაჭერილი საქონელი გაყიდული იქნება.

— **ახალი აგრონომები.** ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში აგრონომიული კურსები დაასრულა 10 კაცმა, რომელთაც მიეცათ სათანადო მოწმობები აგრონომობისა.

— **ხიდებიდგან ნაგვის გადაყრის აკრძალვა,** ქალ. აღმასკომის კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ დაავალა უძრავ ქონებათა სამართველოს გამოსცეს სათანადო დადგენილება ხიდებიდგან ნაგვის გადაყრის აკრძალვისა.

— **სტუდენტთა—მოვარჯიშენი მოსკოვის გამოფენაზე.** საცდელ საქმეთა განყოფილებაში მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიგზავნა 15 სტუდენტი—მოვარჯიშე, რომელთაც დაევალათ დაბრუნებისთანავე გააკეთონ მოხსენებები სათანადო დაწესებულებებში.

ასეთია საერთო ტენდენცია, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ამ შემთხვევაში განმარტოვებით სდგას მხოლოდ ქუთაისი.

როგორიც იყო 25 წლის წინ, ისეთივეა დღესაც; იგივე შეფარდება წლოვანების ჯგუფებს შორის 1897 წელშია როგორც ახლა. საერთოდ ქუთაისი დანარჩენ შემთხვევებშიც ნაკლებად იჩენს ცოცხალი ორგანიზმის ნიშნებს. მისი მოსახლეობის დინამიკა, როგორც უკვე სჩანს განხილულ მასალიდან, თითქმის არ სცილდება ბუნებრივი მოძრაობის საზღვრებს; თითქოს ქუთაისმა არც კი იცოდეს გარეშე ქვეყნის არსებობა და ამ უკანასკნელმა კი მისი არსებობისა. ასე რომ იგი უფრო გაქვავებულ სოდომს მოგვაგონებს, ვიდრე თანამედროვე შფოთიან ქალაქს.

ეს რა თქმა უნდა, ცოდვად არ ჩაეთვლის ქუთაისს: ამის მიზეზი მისი ეკონომიური და სოციალური ცხოვრების შინაგან ბუნებაში იმარხება, რის შესახებაც გვექნება საშუალება ვილაპარაკოთ შემდეგში.

საინტერესო იყო წლოვანების საკითხი განგვეხილა სქესის მიხედვით და აგრეთვე სამუშაო ჰასაკის თვალსაზრისით, მაგრამ უადგილობის გამო ამ ჟამად არ შეუდგებით მათ გარჩევას. ამ საკითხებს შემდეგში გზა და გზა შევეხებით სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ეხლა კი მეორე, როგორც უფრო საყურადღებო, საკითხის საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ მიმართებით რიცხვებს: რაც შეეხება პირველს, ესე იგი წლოვანების საკითხს სქესთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მასალა არ გვაჩვენებს ამ მხრივ დიდ და მოულოდნელ გადახრას არც თვითეული ქალაქის ფარგლებში და რაც ამ ქალაქთა ერთი მეორესთან დაპირდაპირებით.

სამუშაო ჰასაკის მიხედვით პროცენტული დამოკიდებულება მოსახლეობის შედგენილობაში ასეთია:

| წლოვანება | ბათომში | ქუთაისში | სოხუმში | ფოთში |
|---|---|---|---|---|
| 0—14 | 28 2 | 34.6 | 30.7 | 37 0 |
| 15—19 | 10 4 | 12.9 | 10 2 | 11.8 |
| 20—59 | 56.8 | 44.8 | 54.3 | 47 9 |
| 60—69 | 3.1 | 4.2 | 3.2 | 3.9 |
| 70 და მეტი | 1 5 | 3.5 | 1.6 | 2.4 |
| სულ . . . . | 100 | 100 | 100 | 100 |

თუ გავიხსენებთ რაც ნათქვამი იყო ზევით ამ ქალაქების დასახასიათებლად და კერძოდ ქუთაისზედ და დავალაგებთ მათ ასეთი თანამიმდევრობით—ქუთაისი—ფოთი—სოხუმი—ბათომი ან თუნდა შებრუნებით, მაშინ ძნელი არ იქნება ამ უკანასკნელი ცხრილის წინასწარი ახსნაც, ხოლო მისი დასაბუთება კი შემდეგ, როდესაც ხელთ გვექნება მასალა ხელობის, პროფესიის, ბინადრობის ხანგრძლივობის შესახებ და სხვა.

**მ. ყოჩიაშვილი.**

— **პროლეტარული სალამოები პროვინციაში.** ქ. გორში 31 აგვისტოს სანდრო ეულის ხელმძღვანელობით გაიმართა ქართული პროლეტარულ ხელოვნების სალამო. სალამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ამისთანა სალამოები გაიმართება სხვა დაბა-ქალაქებში.

— **რკინის გზის ხარჯთა აღრიცხვა.** ა. კ. რკინის-გზის სამართველომ შეიმუშავა ა.—კ. რკინისების ხარჯთა აღრიცხვა, რომელიც უკვე წარედგინა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს დასამტკიცებლად.

— **დიდი ხნის სამსახურის გამო.** საჭირო თანხის მიღებამდე რკინის გზის მმართველობამ დროებით შეაჩერა დახმარების გაცემა მრავალ წლიან მოსამსახურეებზე.

— **აგარაკის აღდგენა ქობულეთში.** ა.—კ. სახ. კომისართა საბჭომ საჭიროთ სცნო აღადგინოს ქობულეთში აგარაკი, რისთვისაც დაევალა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს შეიმუშავოს საჭირო ხარჯთ. აღრიცხვა.

— **მანუფაქტურის დარიგება მუშებზე.** ნავთლუღის ადგილკომმა რკინის გზის პროფ. კავშირისაგან მიიღო დიდძალი მანუფაქტურა ადგილობრივ მუშებში გასანაწილებლად.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** სადგურ ქარელის მუშა მოსამსახურეებმა დაადგინეს საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გადასდონ სამი თვის განმავლობაში თვეში თითო დღის ხელფასი.

— **მოსკოვის გამოფენაზე.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოს მესაქონლეების ექსპორტები რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე გამოფენილი იქნა 1 სექტემბერს.

— **განსხვავების მიცემა.** დამზღვევ კასამ დაადგინა: დახმარება, რომელიც მიეცემა წინასწარ, შემდეგ მიეცეს განსხვავება უკანასკნელ დღის კურსის მიხედვით.

— **ვადის გაგრძელება—დასაზღვევად.** დამზღვევ კასამ გადასწყვიტა უმუშავართ ვადა გაუგრძელოს.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 6 სექტემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა 517 უმუშევარი. გაიგზავნა სამუშაოზე 49 უმუშ.

— **მესაქონლეთა ფერმები.** მიწათ მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში არსებულ მესაქონლეების ფერმები გადაეცა სახალხო მამულების სამართველოს.

— **ქართულ მუსიკის კათედრა.** ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში არსდება ქართულ მუსიკის კათედრა. მიწვეულია კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი.

— **ვალიუტის კურსი.**

7 სექტემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 44,300,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 43,300,000 | „ |
| ჩეკი. | 42,000,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 9,500,000 | „ |
| ჩეკი. | 8,800,000 | „ |
| ოსმალური ლირა | 6,050,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 21,000 | „ |

# პარტიაში

შაბათს, 8 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, საქ. მემ. სოც. ფედ. ქალთა განყ. ოთახში ლორის მელიქოვის 1) დანიშნულია პარტიულ ქალთა კრება. გასარჩევია ფრიად საინტერესო საკითხები.

წევრებს ევალებათ გამოცხადდენ აუცილებლად აღნიშნულ დროზე.

# კურორტებში

3.

**აგარაკი ბახმარო.** ბინების საკითხი ბახმაროზე წელს ძალიან ცუდად იდგა. მოაგარაკეთა რიცხვი ცხრა ათასამდე აღწევდა. იყო ბევრი შემთხვევა, რომ ერთ ოთახში 16 კაცი ცხოვრობდა. ყურადღება რომ არ მივაქციოთ იმ უხერხულობას, რომელიც იქმნება რამოდენიმე სრულიად უცნობი ოჯახის ერთ ოთახში მოთავსებას, ასეთი ცხოვრება დაუშვებელია გიგიენური თვალსაზრისითაც. სანამ ბინების ასეთი ნაკლებობა იქმნება, უმჯობესია ოზურგეთში (როგორც გურიის ცენტრში), განაწილდეს ბახმაროს ბინები.

წელს ბახმაროზე ადგილი ჰქონდა სახლების ჩამორთმევას. ეს დიდი შეცდომაა. ამ აგარაკზე სახლებს აშენებს უმთავრესად მოხელეები (უსტიები) მეტ ნაწილად სახლები სამ ან ოთხ ოთახიანებია. იშვიათი შემთხვევაა ვინმეს ორი ან სამი სახლი ჰქონდეს; სახლების ჩამორთმევას და განსაზღვრულ ფასებში გაქირავებას მთავრობისათვის დიდი სარგებლობა არ მოაქვს, ჩამორთმევის შიში კი ბევრს დააფრთხობს თუ სახელმწიფო შეუდგება სახლების გაშენებას მაშინ დასაშვებია კერძო მეპატრონეთათვის სახლების ჩამორთმევა. წინააღმდეგ შემთხვევაში საამშენებლო საქმეში კერძო ინიციატივაც მოისპობა, რაც ცუდია საქმისათვის.

სულ რაღაც ექვსი სახლია ჩამორთმეული და ეს საკმაო შიშს ბადებს და ახალი სახლების აგებას ხელს უშლის.

არის კიდევ ერთი გარემოება. მხედველობაში მისაღები: ბახმაროს გარშემორტყმულ ტყეებში შეხვდებით ბევრ წაქცეულ ხეებს. ეს ხეები გამოდგება შენობისათვის მხოლოდ წაქცევის პირველიწადს. ამის გამოყენება უნდა. ხეები არ უნდა ლპებოდეს. მაგრამ სატყეო ძალიან ძვირად აფასებს და ამჯობინებს დალპობას, თუ „ხეირიანი“ ფასი ვერ აიღო. თუ ვინმემ აგებული შენობის ჩამორთმევის შიში გადალახა ამ სიძვირეს ვერ უძლებს. ერთი წაქცეული ნაძვის ან ფიჭვის ხე, რომელიც მხოლოდ წელს შეიძლება გამოყენებულ იქმნას თხუთმეტიდან ოც მილიონამდე ფასობს. დაინტერესებული მყიდველი ამჯობინებს ცოტა მეტი გადაიხადოს და ხე მოსჭრას. უმჯობესი არის წაქცეული ხეები გაჰყიდოს სატყეომ თუნდ იაფ ფასად, ამით სახლების აგებასაც ხელს შეუწყობს, წაქცეული ხეები უსარგებლოდ აღარ დალპება და ბახმაროს საღი ჰაერის წყარო—ნაძვნარი გადარჩება გაჩეხას.

რომ სახლების აგების საქმე ცუდათ არის იქიდანაც მტკიცდება, რომ წელს, როდესაც შემოქმედებითი მუშაობისათვის სხვა წლებთან შედარებით უკეთესი პირობებია, მხოლოდ ერთი სახლის აშენებაა დაწყებული და ისიც ერთ ოთახიანის. ბახმაროზე ხის სახლების აგება მაინცა და, მაინც საძნელო საქმეს არ წარმოადგენს, მაგრამ საჭიროა უფრო გარკვეული ხაზი, ან მთავრობამ თითონ უნდა მოაწესრიგოს ეს საქმე ან კერძო პირებს ფართე გასაქანი და საშუალება მისცეს.

წმინდა ეკონომიურ სფეროში გამგეობამ ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი. იმ დროს, როცა არსებობდა 27 კერძო სავაჭრო გამგეობას იჯარით ჰქონდა გაცემული მხოლოდ ორი სასადილო, საყასბო და ერთი საწვრილმანო ფურნით.

კოოპერატივს ჰქონდა საშუალება რძის ნაწარმოები მთლად ჩაეგდო ხელში, მაგრამ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი. ბახმაროზე არ იყო უბრალო რძის საშინჯიც კი.

მოაგარაკეებს აწვდიდნენ რძის მაგიერ წყალს, რომელშიაც ცოტა რძე ერია და პურის ფქვილი შესასქელებლად. ნამდვილი რძის უქონლობის გამო ეს მავნე სითხე ბევრი იყიდებოდა. ხშირი იყო შემთხვევა „რძის“ გადაღვრის, მილიციის ჩარევა ამ საქმეში და სხვა. მოაგარაკეთა ჯანმრთელობის თვალსაზრისით ასეთ მოვლენებს მომავალში მაინც არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

არა უშავდა გაზეთების და წერილების მოწოდებას, მართალია სამკითხველოს არ ჰქონდა მიჩენილი შენობა, მაგრამ თეატრის წინ შეგეძლოთ წაგეკითხათ თითქმის ყველა ყოველ დღიური გამოცემა დედა ქალაქის. ფოსტა მოდიოდა დღე გამოშვებით ჩალვადრების საშუალებით. საკვირველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რომ ოზურგეთსა და ბახმაროს შუა არ იყო მოწყობილი საველე ტელეფონი. ამ საქმის მოწყობა არ იყო ძნელი და უყურადღებობით აიხსნება. უტელეფონოთ და უტელეგრაფოთ ისე გრძნობდით თავს ბახმაროზე თითქოს მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი იყავით.

აფთიაქი, ამბულატორია, საექიმო პერსონალი თავის სიმაღლეზე იდგა.

კულტურულ სფეროში აღსანიშნავია წარმოდგენები, საჯარო ლექციები და სამასწავლებლო კურსები.

კულტურულ მოღვაწეობისათვის ბახმაროს საკმაოდ მტკიცე ტრადიცია აქვს. ამ მხრივ ის არ ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის სხვა აგარაკებს.

ერთის შეხედვით აქ არ არსებობს ამისათვის არავითარი ობიექტიური პირობები. აგარაკი საშინელი გზების წყალობით მიუვალ კოშკს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ამისათვის შეუძლებელია რაიმე ცოცხალი კულტურული ძაფის გაბმა მთელ საქართველოსთან. არ არსებობს სისტემატიურად მომქმედი ბიბლიოთეკა *) თეატრის შენობა პატარაა და რაიმე მოწყობილობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, უბრალო სელის სკამებიც ამოაქვთ ცხენებით ყოველ წლივ, ფარდა და დეკორაციები სულ არ იპოვება, თუმცა ეს წვრილმანებია, მაგრამ აქედან აშკარაა კულტურული საქმის წარმატება.

თავისი მოუწესრიგებლობით ბახმარო ბოშების ბანაკს უფრო წააგავს, ვიდრე კულტურულ აგარაკს, მაგრამ იგივე ცუდი პირობები მეორე მხრივ ხელს უწყობდა ცოცხალ კულტურულ და საზოგადოებრივ საქმის გაჩაღებას.

როგორია სხვა მხრივ მდგომარეობა. ამაზე შემდეგ.

**ს. ჰეიშვილი.**

—

**ზემო თავსურების თემის სხვა და სხვა დაწესებულებანი.**

**(გურია)**

ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს თემის სხვა და სხვა დაწესებულებათა აღწერა და დღევანდელი მათი მდგომარეობის გაცნობა. უპირველეს ყურადღებას მივაქცევთ 8 წლიან შრომის სკოლას და საერთოდ ყველა სკოლების საკითხს.

8 წლ. შრომის სკოლა გაიხსნა 1921 წ., ის მოთავსდა ორ კლასიან სკოლის შენობაში. მეცადინეობა ამ სასწავლებლის გახსნის შესახებაც წინეთაც იყო, მაგრამ ხელის შემშლელი აქაც ბევრი აღმოჩნდა. სხვა და სხვა ჯგუფებმა თავიანთ სასარგებლოთ მოინდომეს ამ დაწესებულების დაარსება.

*) მხოლოდ 1902 წ. ს. ასკანის ბიბლიოთეკამ გახსნა ბახმაროზე განყოფილება და მაშინ უხვად იყო წიგნებიც და გაზეთებიც.

ვინ კარგს ალაგს მოელოდა შიდ და ვინ სხვაფრივ სარგებლობას შრომის დაუხარჯავათ. პირველ გამგეთ მოვლენილ იქმნა ვინმე მახარაძე, რომელმაც იფიქრა რომ ეს არის ვნახე მივარდნილი თემი და როგორც მინდა ისე ვისარგებლებო. მოწაფეებს ფულები დასტყუა—სკოლისა და სწავლის დაწინაურებაზედ კი თავს არ იწუხებდა. საბედნიეროდ, პედაგოგიური საბჭო მალე მიუხვდა ოინებს ადგილიდანაც დაითხოვეს და გააძევეს. მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ მაშინდელმა გაფიცვებმა და გამოსვლებმა შეუშალა ხელი.

1922—23 სამოსწ. წელს მასწავლებლებათ ყველა ადგილობრივი მოხვდა, მიუხედავათ ამისა ერთი არა სასურველი ინიციდენტი მოხდა გამგის არჩევაზედ. მეცადინეობის საქმემ კი გაცილებით გაუმჯობესდება. ამ სკოლას ჯერ-ჯერობით ბევრი რამ აკლია, მაგალითად: ფიზიკური კაბინეტი, გეოგრაფიული რუქები, სხ. და სხ. საჭირო სურათები—სასკოლო დგამი და სხ. (მათ შორის სასკოლო შტემპელ ბეჭედი, რომელთა შეძენაც აუცილებელია და ძლიერ საჭირო).

შეკეთება და გაუმჯობესება ესაჭიროება თვით შენობას. აქაურმა ახალგაზრდა მასწავლებლობამ საერთოდ, პედაგოგიურმა საბჭომ—მშობელთა წრემ თემთა და ერთი სიტყვით ყველამ, ვისაც კი გული შესტკივა ამ დაწესებულებისადმი, ყურადღება უნდა მიაქციონ მას. მასწავლებლებათ მოწვეულ უნდა იქმნას გამოცდილი პედაგოგები,—სამწუხაროთ, სტუდენტობა, როგორც დროებით მასწავლებლები ვერ სტოვებენ ნაყოფიერ კვალს. ერთ წელზედ მეტს თითქმის არც ერთი მათგანი არ რჩება. ეს მოვლენა კი მოწაფეებისათვის ძლიერ ხელის შემშლელია, ვინაიდგან ყველა მასწავლებელს თითქმის საკუთარი მეთოდი აქვს. და ყოველწლიური ცვალებადობა სწავლის საქმეში ვერ არის ნაყოფიერი. ამ სკოლის გარდა თემში დღემდის კიდევ 3 სკოლა იყო პირველ დაწყებითი. ერთი მათგანი დაუხურავს განათლების განყოფილ., და მეორისას კი გადატანას აპირებს სხვა ალაგას. აშკარაა—რომ ამ სკოლის თავის ადგილიდგან მოხსნა დიდ აურ-ზაურს და უკმაყოფილებას გამოიწვევს ხალხში, რომელიც ის თავისი საკუთარი ხარჯით იაგო.

ახალი სასკოლო ადგილი გეოგრაფიული მდებარეობით ძლიერ უხერხულია—თუ სხვა მხარეები არ აქვს დადებითი. ყველა ამ სკოლებისათვის საერთოდ მეტად ხელის შემშლელია ის, რომ ამავე დროს ისინი წარმოადგენენ სახალხო სახლებსაც; აქ იმართება წარმოდგენები, სახალხო კრებები თუ მიტინგები—აქვე არის თუ გნებავთ, სატუსაღოც და არსენალიც--რაიც მეტად დამაზიანებელია სასკოლო შენობების.

საჭიროა, ალმასკომი შეეცადოს სახალხო სახლის აგებას—მით უმეტეს საამისო შენობა უკვე არის (ყოფილი ეკლესია), მხოლოდ მისი გადმოტანაა საჭირო.

გადავიდეთ ბიბლიოთეკაზედ, რომელიც ეს სამი წელიწადია თითქმის არც კი არსებობდა ფაქტიურად. ძველი გამგეობა დაიშალა--ახალი არსადა სჩანს და ინიციატორი საქმის მომგვარებელი არავინაა, ბიბლიოთეკის შკაფი-მაგიდა-სკამი სხვა დაწესებულებებშია, თუმცა მართალია, რომ ისინი იქაც საჭიროა, მაგრამ ყველა დაწესებულებამ თავისი უნდა შეიძინოს და სხვა არ დაჩაგროს. ბიბლიოთეკის წიგნები თითქმის ყველა გაბნეულია, კატალოგი კი არ არსად სჩანს. არა სჩანს თუ რა იყო და ვის რა აქვს წაღებული. გაზეთები წელს თუმცა მოდის, მაგრამ აქ დამახასიათებელია ერთი მეტათ ცუდი მოვლენა—გაზეთების მისვლისთანავე დაიტაცებს ზოგიერთი პირები—კითხულობენ თავისთვის ოჯახში, თავისუფლათ,—უკან დაბრუნებას კი არ ფიქრობენ. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს, გაზეთები (ყველა №) წაკითხვის შემდეგ ბიბლიოთეკაში ინახებოდეს და არ იკარგებოდეს. წერა-კითხვის უცოდინართ, მცოდნე ახალგაზრდობა უნდა უკითხავდეს და ურკვევდეს წანაკითხს.

უნდა შესდგეს ბიბლიოთეკის გამგეობა და საქმე თავის კალაპოტში ჩააყენოს; ძველს (თუ რამ იყო) თავი მოუყაროს და ეცადოს ახალი წიგნების, სურათებისა და სხვა საბიბლიოთეკო მასალის შეძენას.

სკოლისა და სამკითხველოს გარდა კულტ. დაწეს. ეკუთვნის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომლის არსებობა დღემდის მერყევი იყო. ეხლა კი მგონი სამუდამოთ დამტკიცებულია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ განყოფილების არსებობა აუცილებელია ჩოხატაურ-სურების ხაზისათვის, როგორც ხელისუფლებისათვის—აგრეთვე ხალხისათვისაც. ხალხის და მთავრობის ერთად მოქმედებით ეს დაწესებულებაც უფრო უნდა მოეწყოს და გამშვენიერდეს. (სასურველია—აგრეთვე თუ „ალკოგოლიზმის“ სუნიც ცოტათი შენელდება შიგ).

დაგვრჩა კიდევ ორი კოოპერატივი „საუნჯე“ და „ჩვენი ოჯახი“, რომლებიც დღეს უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან ხალხის საერთო ეკონომიურათ დაქვეითების გამო. წევრებს საპაიო თანხა თავის დროზედ ვერ შეაქვთ, რითაც ძლიერ ეშლება ხელი საქონლის მომხმარებელზედ მიწოდებას. ნაკლებია აგრეთვე ვაჭრობაც საქონლის სიძვირისა და სიმცირის გამო. საკუთარი თანხის უქონლობის გამო გამგეობას ვერ მოაქვს სეზონისათვის საჭირო გასასყიდი ნივთები—რითაც ხანდისხან უკმაყოფილება იბადება. ასეთებს რომ ადგილი არ დაურჩეს და გამგეობის მუშაობა კრიტიკას გარეშე იდგეს, საჭიროა პირველი მოთხოვნილების საგნები ბლომათ იქმნას შეძენილი და რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში, ამ შემთხვევაში დ. სამტრედიაში წვრილ-წვრილათ საქონლის შეძენა არაა დასაშვები. ამას წინეთ „საუნჯეში“ ქურდობაც კი მოხდა, რომლის შინაარსი დეტალურათ დღესაც გამოურკვეველია. კოოპერატივის არსებობას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს საერთოდ ყოველი ჯურის ჩარჩ სპეკულიანტებიდან,—მაგრამ ხალხი მუდამ მზათ უნდა იყვეს ასეთ პირებს შესაფერი პასუხი გასცეს.

ჩამოთვლილ დაწესებულებების აგებაზედ და მოწესრიგებაზედ საზოგადოებას აუარებელი ფული და შრომა აქვს დახარჯული—დაუფასებელია აგრეთვე კერძო პირთა მოღვაწეობა მათ ირგვლივ, ამიტომ დღევანდელი ხელმძღვანელების ზნეობრივი მოვალეობაა საქმეს დიდი მუყაითობით მოჰკიდონ ხელი; თავიანთ მოვალეობას ყველანი პირნათლათ ასრულებდეს, იმ პიროვნებას კი—რომელიც საქმეს დაივიწყებს და არ გააკეთებს მოეთხოვოს შესაფერისი პასუხი. ყველა ამათი მეთვალყურე ან ხალხის მიერ არჩეული პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყვეს ანდა ალმასკომი ადევნებდეს ყველაფერს თვალყურს. ალმასკომის მუშაობა ჯერ ჯერობით ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი,—თუმცა ამ ბოლო დროს კი დაადგა ცოტა შემოქმედებითი მუშაობას.

ვიშრომოთ და ხელი შევუწყოთ ყველამ ამ დაწესებულებებს, თუ გვსურს ჩვენი თემის კულტურულათ აყვავება—ვიყოთ დარწმუნებული,-რომ ყოველი საფუძვლიანი შრომა ნაყოფს გამოიღებს.

ერეკლე კაკვაძე.

# საუბარი გლეხთან

### მიწის რეფორმა და ღარიბი გლეხი

(წერილი კახეთიდან)

მიწის რეფორმა უმტკივნეულოდ ჩატარდა: ჩამოერთვა მიწები, ვენახები, სახნავ-სათესები იმათ ვინც თავის შრომით არ იმუშავებდნენ და გადაეცათ ღარიბ მშრომელ გლეხობას.

ეს იყო დიდებული აქტი სამართლიანობისა და მხოლოდ ამიტომ უპროტესტოთ და უდავიდარაბოთ ჩაიარა ამ დიდებულმა ისტორიულმა რეფორმამ.

გადავიხედოთ სოფელში, დავაკვირდეთ სინამდვილეს და აღვიაროთ: რა შედეგები მოჰყვა ამ რეფორმას.

მამულები ჩამოერთვათ ორ კატეგორიის ხალხს: მემამულე თავ.-აზნაურობას და მემამულე-ვაჭრებს და სპეკულიანტებს.

რა დღეში არიან ეხლა არ ერთნი, ან მეორენი.

იგი ცხოვრობდა მხოლოდ და მარტო მიწის რენტით, ვენახის შემოსავლით. სხვა წყარო ცხოვრებისა და სახსარი მას არ ჰქონდა.

იგი სულსა ლაფავს და სიღარიბის ყოველ ექსცესებს განიცდის.

რა დღეშია ვაჭარი და სპეკულიანტი ყოფილი მემამულე?

ის ისევ ბედნიერია და დღეს იქნება უმეტესად, ვიდრე წინად.

მამულები ჩამოერთვა?

დიახ, მაგრამ ეს მოხდა ფორმალურად, ქაღალდზედ. სინამდვილეში ის ისევ მემამულეა, ძლიერი და მსხვილი მემამულე.

რათა და როგორ?

ღარიბ გლეხს ვენახი მიეცა, კარგი, დამუშავებული, მავთულზე აბმული ვენახი. მაგრამ მას არ გააჩნია სათადარიგო თანხა, ვენახის დამუშავება-კი მოითხოვს დიდს წინასწარ ხარჯებს: გოგირდი, შაბიამანი, დაბარვა, გასხვლა, გათოხვა.

შეუწამლელი ვენახი მთლად გახმება და არა თუ არავითარ ნაყოფს არ მოიცემს საწლეულოდ, სამუდამოთაც ამოვარდება.

რა ქნას გლეხმა, სად იშოვნოს წინასწარი თანხა?

მაზრაში არ არის სამეურნეო ბანკი, სამელიორაციო კრედიტი. ჩახელმწიფო ბანკი არ იძლევა გვრცელ-ვადიან კრედიტს. მალე ვადიანსაც იძლევა ჩერვონეცის კურსით. ასეთს ფორმას კრედიტორს მეურნეობა ვერ გაუძლებს.

დარჩენილა ერთი საშუალება: მიმართოს სოფლის სპეკულიანტს, ჩარჩს. ესეც უწევს „მამობრივ“ დახმარებას, აძლევს ან ფულად, ან გოგირდსა და შაბიამანს იმ პირობით, რომ გლეხმა მისცეს ნახევარი მოსავლისა.

არ დასთანხმდეს?

მაშ სად წავა, ვისთან მივა, ვინ გაუმართავს ხელს.

გლეხი სთანხმდება ამ პირობას. ამ კომბინაციის სახით ის ხდება მონახევრე იმ ვენახში, რომელიც მისი „თითქოს“ საკუთრება არის.

სხვანაირად, რომ ვსთქვათ, მყარდება ისევ ის დამოკიდებულება სპეკულიანტსა და გლეხ შორის, როგორიც იყო მიწის რეფორმამდე: მაშინაც ხომ ღარიბი და უმამულო გლეხები სანახევროდ იღებდნენ ვენახებს მამულის პატრონებიდან.

ხელ-მოკლე კაცს ვერც ვენახი და ვერც მიწა ვერას უშველის, თუ მას იაფი გრძელ-ვადიანი კრედიტიც თან არ მისდევს.

ახლა მიიღეთ მხედველობაში ბუნებისაგან მიყენებული ზარალი სეტყვისა და გვალვისა სახით და თქვენ დამეთანხმებით, თუ როგორ მდგომარეობაშია გლეხი.

ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მიწის რეფორმა იყო აუცილებელი პირველი ნაბიჯი, მაგრამ თუ მას ზედ არ მოყვა იაფი გრძელ-ვადიანი კრედიტიც, შრომა უნაყოფოდ ჩაგვივლის.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა პირობებში ახერხებს დღეს გლეხი კრედიტის შოვნას. ეს პირობები ისეთი ძნელია, რომ გლეხს უნახევრებს სარჩოსაბადებელს.

ამიტომ ვამბობ, რომ ჩარჩმა არაფერი არ და- კარგა და გლეხმა ამით კი სავსებით ვერ ისარგებ- ლა მიწის რეფორმით.

ეს არის მიზეზი, რომ ზოგიერთი გლე- ხები უარს აცხადებენ ვენახის აღებაზე: ვენა- გის დამუშავების თავი არ გვაქვსო.

საჭიროა შექმნა ისეთის პირობებისა, რომ მშრომელ გლეხობას ჰქონდეს საშუალება გაჭირ- ბის დროს იშოვოს კრედიტი ხელ საყრელ პირობე- ბში.

ამ მხრივ სულ ვერაფერს ვერ აკეთებს სახე- ლმწიფო ბანკი. მათი სარგებლობენ მხოლოდ სპე- კულიანტები და მდიდრდებიან ისინი, ვინც ისე- მდიდრები არიან.

სტუმარი.

# ქრონიკა

**სახალხო სახლის** მომავალ სათეატრო სეზონის დასის შემადგენლობა ქალები: ანკარა, ასათიანი, ბარათაშვილი, იანქოშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, მინდელი, ქართველიშვილი, ყოჩიაშვილი, მარგველაშვილი, ავალიშვილი, ჩიხლაძე, გამზარდია ჩარკვიანი.

ვაჟები: ადამიძე, ანაშვილი, გოცირიძე, ივერიელი, ელიაშვილი, ქუჯრაძე, ლითანიშვილი, ბუთლიაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, მეტრეველი, მენთეშაშვილი, მაისურაძე, ნინიძე, თავდგირიძე, ა. ლორთქიფანიძე, თაზიშვილი, ჰანიშვილი, ხახანაშვილი, ჯაბაური, გულისაშვილი, მესხელი, გიორგაძე, ი. რომანიშვილი, კობელი, კრავეიშვილი, კალანდარიშვილი, გამრეკელი, სალაყაია, კანდელაკი.

რეჟისორები: მ. ღვამიჩავა, ი ბარველი.

რეჟისორის თანაშემწენი: გ. გარსიაშვილი, ს. ხოფერია. მოკარნახენი: მ. თუშმალიშვილი, ცაბაძე, გელეიშვილი, მგალობლიშვილი.

აქ ჩამოთვლილს მსახიობ-სცენისმოყვარეთა შორის წელს წრის დასს შეემატნენ თითქმის 13—14 ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი სცენაზედ სამუშაოდ. წარმოდგენები გაიმართება კვირაში ორჯელ—პარასკევობით და კვირაობით.

**სახალხო სახლის ქართული დრამა.** სახალხო სახლში ქართული დრამის სეზონი იხსნება 7 ოქტომბერს შ. დადიანის „გუშინდელნი“-თ, რომელსაც ამზადებს რეჟისორი ი. ბარველი. ამ პიესის როლები უკვე განაწილებულია და რეპეტეციებს შეუდგნენ 7 სექტემბერს. პირველი თვის განმავლობაში დაიდგმება შემდეგი პიესები: „უნიადაგონი“ ვ. შალიკაშვილისა, ბარველის რეჟისორობით. „დამძრალი წალკოტი“—ფსიხოლოგიური დრამა ნ. გერგესელისა, რომელსაც ამზადებს რეჟისორი მ. ღვამიჩავა. „მეფის დალაქი“,— ლუნაჩარსკისა, „ცოდვა“—ვინნიჩენკოსი და სხვა. შემდეგი თვეების რეპერტუარიც მუშავდება. წელს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ახალს პიესებს. გამგეობა დიდის ხალისით და სიყვარულით შეუდგა საქმეს.

განზრახულია თეატრში მოიზიდონ უმთავრესად მუშათა მასა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც სახალხო სახლი ეს მათი თეატრია და ამ უკანასკნელს 30 წლის განმავლობაში ამ თეატრს გრძნობა გაუფაქიზებია და მათში საზოგადოთ შეუტანია თვით-შეგნებისა და თვითცნობიერების სხივი. არა ერთი და ორი მუშა დაუხსნია, გადაურჩენია ლოთობის გზას და დაუყენებია ჭეშმარიტს ცხოვრების გზაზედ.

ამ მხრივ სახალხო სახლს და აქ მომუშავე ქართველს დრამატიულს წრეს დიდი სამსახური და ღვაწლი მიუძღვის მუშათა წინაშე, რასაც პირუთვნელი ისტორია აღნიშნავს.

აკი ამიტომაც აქ მომუშავე მშრომელი მუშა-ინტელიგენტი მსახიობნიც დიდის სიყვარულით ემსახურებიან საყვარელს საქმეს და ბევრი მათგანი სრულიად უსასყიდლოთაც, მაგრამ ჩვენ გვინდა ამ ჟამად ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებას: მართალია წინეთ, იაფ ცხოვრების დროს, შესაძლებელი იყო და მოსახერხებელიც, რომ აქ მუშათათვის გამართულიყო წარმოდგენები. მხოლოდ დღევანდელს პირობებში მეტად მძიმეა, რადგანაც აქ არსებული სახალხო ფასებით ყოვლად შეუძლებელია საქმის წარმოება. გამგეობა დიდს ნივთიერს გასაჭირს განიცდის. მას უსახსრობის გამო ბევრი საჭირო საქმე ვერ მოუგვარებია. მას არა სურს არც შეუძლია ფასების მეტად აწევა, რადგანაც უმთავრესად მუშათა კლასი დადის და ამიტომ დი ფასები მათთვის სამძიმოა. ამისათვის ამ საქ თვით მთავრობამ უნდა მიაქციოს უსათუოდ დი ყურადღება და აღმოუჩინოს სათანადო ნივთი დახმარება, რათა ამ მუშათა თეატრში მართ სასურველ დონეზედ იდგეს სათეატრო ხელოვნ საქმე. ეს აუცილებელია.

ჩვენ აჰასთანავე იმასაც ვიტყვით, რომ უმ ბესი იქნებოდა აქ მომუშავე დასი მთავრობას თ ვის ხარჯზედ მიელო. მაშინ გაცილებით უკე პირობები შეიქმნებოდა მუშაობისა. აქ მომუ წრეს აქვს ამისი დამსახურება, როგორც ერთს ველეს მუშათა თეატრის შემქმნელთ და ამასთა სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერ ერთი მუშათა თეატრია, სადაც აკადემიურ თე რის შემდეგ, ყველაზედ უკეთესად არის დაყენ ლი ქართული წარმოდგენების საქმე. ამასაც საკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენ გავიგეთ, რომ წრის გამგეობა უკვე მდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მან თავის ხარჯზედ მიიღოს. ეს ძალიან მიზანშეწ ლი ნაბიჯია გამგეობის მხრივ და მეტად სასუ ლი. ყოველ შემთხვევაში თუ ეს არ მოხერხდა, შინ უსათუოდ უნდა ეძლეოდეს მთავრობიდან ჭირო სუბსიდია, ურომლისოდაც ამ თეატრში კუთარი ნივთიერ ღონისძიებათა ანაბარა სა წარმოება შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

**სახალხო სახლის** დრამატიული წრის 30 იუბილე, რომელიც უნდა გადახდილიყო გაზაფ ზე და სხვა და სხვა მოსაზრებით გადაიდო დეგისათვის, გაიმართება ნოებრის ბოლო რიც ში. წინასწარ მუშაობის წრის გამგეობა უკვე დგა, ამისთვის ამორჩეულია სხვა და სხვა კო ები, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას. განზრ ლია იუბილე რაც შეიძლება კარგად მოეწყოს.

ვ. ბ.

# ღია წერილი რედაქციის მიმართ

(კ. კაპანელის წერილის გამო)

მოქ. კ. კაპანელის განცხადება გაზეთ „ ბუნის“ №, რომ ის არ შედიოდა და არ შედის „მწვერვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად რომ მას გაზეთის გამომცემლობასთან არავითარ დამოკიდებულება არ აქვს, არ არის მართ ხელშეკრულებას დადებულს კ. კაპანელ-ჭანტურ თ. ჩ—ნაიას და დ. კასრაძის შორის ამასთა გიდგენთ კ. კაპანელის განცხადების გასაბათი ლად.*) კ. კაპანელს ავანსიც კი აქვს მიღე გამომცემლობისაგან და ყველა ამის შემდეგ მს განცხადების გამოქვეყნება არ არის კეთილსინ სიერი საქციელი. ჩვენ არც კ. კაპანელის გან დების გვეშინია და არც მზგავს პირთა მუქ რომ კ. კაპანელის პატივისცემა არ გვქონდეს, რო შესაფერ და კუთვნილ პასუხს გავცემდით.

ნამუსიც კაი საქონელია.

გაზ. „მწვერვალის“ გამომცემლობა.

1923 წ. 7 სექტემბერი.

*) ხელშეკრულება წარმოდგენილია რე ციაში. რედ.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 107.

### საქართველოს სოც.-რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

წითელი არმიისათვის წყალზე და ელექტრონზე საშეღავათო ტარიფის დაწესების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოს მიაჩნია რა საჭიროდ შეღავათიანი ფასის დაწესება წითელი არმიისათვის კომუნალური სამსახურის გაწევის სათასურად—**ადგენს:**

1. დაწესებულ იქნეს წითელი არმიის ყველა ნაწილისათვის და აგრეთვე წითელ არმიაში მოსამსახურეთათვის შეღავათიანი ტარიფი წყალზე და ელექტრონზე და იგი აღრიცხებოდეს: თვითეულ ვედრო წყალზე 1½ საჩერვონო კაპეიკისა, ელექტრონის ენერგიის თვითეულ კილოუატ-სა 20 საჩერვონო კაპეიკით.

2. მოქმედება ამა დადგენილებისა გავრც ბულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რე პუბლიკის ტერიტორიაზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალ კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1923 წ. სექტემბერი „6“

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 614 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, როზენშტეინის ქუჩ. № 4